



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



დადგენილება:დ-27. 2723025001

თარიღი:25/01/2023

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04

25 იანვარი 2023 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის და 34¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დამტკიცდეს დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №04 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 30.12.2021, 270070000.35.163.016555)“.

მუხლი 4. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2023 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულო
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის
პირების თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობა	რაოდენობა	საბაზისო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	1210	4,1	4961
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	1210	3,1	3751
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	1210	2,7	3267
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1210	2,2	2662
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	1210	2,0	2420
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	12	1210	1,6	1936

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობა	იერარქია	რანგი	შტატების რაოდენობა	საბაზისო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს აპარატის უფროსი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	1210	2,3	2783
2	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1210	1,6	1936
3	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	1210	1,2	1452
4	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	IV	2	1210	1,0	1210
5	საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1210	1,6	1936

6	საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	1210	1,2	1452
7	საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1210	1,6	1936
8	საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	1210	1,2	1452